



„ვამტკიცებ“

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის

პირველი ვიცე-პრეზიდენტი: ვ. ბერიშვილი

06 / 01 2017 წელი

მძლეოსნობაში 2017 წლის ეროვნული, ახალგაზრდული
(1998-99წ.წ)(2000-2001-2002წ.წ), ჭაბუკთა და გოგონათა
ჩემპიონატების, გეზრბენების ჩატარების, საერთაშორისო
შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების კალენდარი და

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2017 წელი

შეჯიბრებები მძლეოსნობაში ტარდება საერთო კალენდარული გეგმის მიხედვით საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებს შორის რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან

I მიზანი და ამოცანები:

1. მძლეოსნობის მასობრიობა საქართველოს ქალაქებსა და რეგიონებში.
2. მძლეოსნობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია
3. პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის (ასაკების მიხედვით) მათი სხვადასხვა რანგის საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის მომზადების მიზნით.

შეჯიბრებების ჩამონათვალი:

1. ეროვნული ჩემპიონატები – ტარდება ზამთარში დახურულ დარბაზში და ზაფხულში სტადიონებზე პირად-გუნდური, ორ ჯგუფად.
2. ჭაბუკთა და გოგონათა 2000-2001-2002.წ ტარდება ზამთარში დახურულ დარბაზში, ზაფხულში და შემოდგომაზე ღია სტადიონებზე პირადი პირველობის სახით.
3. მსოფლიო მძლეოსნობის დღე ჭაბუკებსა და გოგონებს შორის ტარდება ზაფხულში –სტადიონზე, პირად – გუნდური ,თანახმად იააფის დებულების, წესებისა და დაშვებული ასაკების მიხედვით.

შენიშვნა: - 2000-2001-2002 წ.წ დაბ. შორის შეჯიბრებები ჩატარდება მხოლოდ პირადი სახით. (2000 წელში დაბადებული სპორტსმენები დაიშვებიან კონკურს გარეშე).

II შეჯიბრების კალენდარი:

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის 2017 წლის სპორტულ ღონისძიებათა

კალენდარი

	თარიღი	ჩატარების ადგილი	ღონისძიების დასახელება	მონაწილეთა ასაკი
1	3-5 თებერვალი	თბილისი	საქართველოს ზამთრის ღია ეროვნული ჩემპიონატი	დიდები
2	12 თებერვალი	სტამბული	ბალკანეთის ქვეყნების ზამთრის ჩემპიონატი	იუნiorები
3	17-19 თებერვალი	თბილისი	საქართველოს ზამთრის პირველობა ახალგაზრდებს შორის	2000-2001-2002
4	24-26 თებერვალი	თბილისი	თბილისის ზამთრის ღია პირველობა ახალგაზრდები	2001-2002
5	25 თებერვალი	ბელგრადი (სერბეთი)	ბალკანეთის ქვეყნების ზამთრის ჩემპიონატი	დიდები
6	3-5 მარტი	ბელგრადი(სერბეთი)	ევროპის ჩემპიონატი დახურულ დარბაზში	დიდები
7	11-12 მარტი	ლა-პალმა დეგრანკანარიე	ევროპის თასი ტყორცნებში	დიდები

		(ესპანეთი)		
8	2აპრილი	თბილისი	აფხაზეთის ღია პირველობა	დიდები
9	8-9 აპრილი	ახალციხე	ახალციხის ღია კროსი	ყველა ასაკი
10	22-23 აპრილი	ახალციხე	ქ.ახალციხის ღია ჩემპიონატი	დიდები
11	29 აპრილის-1 მაისი	თბილისი	თბილისის ღია პირველობა ახალგაზრდებს შორის	2001-2002
12	6-7 მაისი	თბილისი	„მძლეოსნობის მსოფლიო დღე“	ჭაბუკები და გოგონები
13	12-14 მაისი	თბილისი	საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის	2000-2001-2002
14	26-28 მაისი	თბილისი	საქართველოს ღია ეროვნული ჩემპიონატი	დიდები
15	3 ივნისი	ელბასანი (ალბანეთი)	ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის	2000-2002
16	10 ივნისი	მინსკი (ბელორუსია)	ევროპის თასი 10 000მ რბენაში	დიდები
17	24-25 ივნისი	მარსა (მალტა)	ევროპის გუნდური ჩემპიონატი მესამე ლიგა	დიდები
18	1-2 ივლისი	კრაიოვა (რუმინეთი)	ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატი იუნიორებს შორის	1998-1999
19	12-16 ივლისი	ნაირობი (კენია)	მსოფლიოს ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის	2000-2001
20	13-16 ივლისი	ბიდგოში (პოლონეთი)	ევროპის 23 წლამდე ჩემპიონატი	23 წლამდე
21	20-23 ივლისი	გროსეტო (იტალია)	ევროპის ჩემპიონატი 20წლამდე ახალგაზრდებს შორის	20წლამდე
22	22-23 ივლისი	ნოვიპაზარ (სერბეთი)	ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატი	დიდები
23	23-29 ივლისი	გიორი (უნგრეთი)	ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი	2001-2002
24	4-13 აგვისტო	ლონდონი (დიდი ბრიტანეთი)	მსოფლიო ჩემპიონატი	დიდები
25	22-24 სექტემბერი	ახალციხე ან ქ.თბილისი	საქართველოს ღია პირველობა მძლეოსნურ ტყორცნებში	დიდები
26	1-2 ოქტომბერი	ახალციხე	ახალციხის საშემოდგომო კროსი	ყველა ასაკი
27	8 ოქტომბერი	ზაგრები (ხორვატია)	ბალკანეთის ჩემპიონატი მარათონულ რბენაში	დიდები

28	11 ნოემბერი	კანაკალე (თურქეთი)	ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატი საგზატკეცილო კროსში	დიდები
----	-------------	--------------------	--	--------

III მონაწილე გუნდები და ჩატარების პირობები:

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი- ტარდება ღია პირად-გუნდური ორ ქვეჯგუფად, ზამთარში და ზაფხულში.

I ჯგუფში მონაწილეები: თბილისი I, თბილისი II, აჭარა, ქუთაისი, ზუგდიდი, ახალციხე, ფოთი, ვანი, ოზურგეთი.

შენიშვნა: თბილისის II გუნდი მონაწილეობს კონკურსგარეშე ყველა ასაკის შეჯიბრებებზე.

II ჯგუფში მონაწილეობენ: ხობი, ბორჯომი, ახმეტა, ასპინძა, აბაშა, გორი, გურჯაანი, დუშეთი, თიანეთი, საჩხერე, გარდაბანი, რუსთავი, სენაკი, წალენკიხა, ჩხოროწყუ, ჩოხატაური, საგარეჯო, თელავი, ლაგოდეხი, ყაზბეგი, ლანჩხუთი, ზესტაფონი, დმანისი, მარნეული, ონი, ამბროლაური, ხაშური, ქარელი, მესტია, ჭიათურა, მარტვილი, ხარაგაული, მცხეთა, წყალტუბო, ხონი, სიღნაღი. ქ.ზუგდიდის მძლეოსნობის კლუბი.

მძლეოსანი სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაში ქულებს აძლევენ მხოლოდ იმ ქალაქებსა და რაიონებს სადაც ამჟამად ითვლებიან ჩაწერილად.

ხოლო იმ დელეგირებულ სპორტსმენებს რომლებიც სწავლობენ ქ. თბილისში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში უფლება აქვთ პარალელურად ჩათვლა მისცენ მხოლოდ სწავლის პერიოდში როგორც ქ. თბილისსა და სხვა ქალაქებსა და რაიონებს. ასევე იმ ქალაქებსა და რაიონებსაც საიდანაც თავდაპირველად იქნენ დელეგირებული.

გუნდების შემადგენლობა:

I ჯგუფში: 10 სპორტსმენი და 2 მწვრთნელ – წარმომადგენელი. სულ : 12 კაცი.

II ჯგუფში: 6 სპორტსმენი და 1 მწვრთნელ-წარმომადგენელი . სულ : 7 კაცი.

შენიშვნა: დიდების შეჯიბრებებზე გუნდურ ჩათვლაში დაიშვებიან 2001 წლის ჩათვლით დაბადებული და უფროსი ასაკის სპორტსმენები ყველა ასაკობრივ ჩემპიონატებზე და პირველობებზე. გუნდები შეჯიბრებაზე ჩამოდიან მძლეოსნობის ფედერაციის მიერ გაგზავნილი ი-მეილით (ელ. ფოსტით) შეტყობინების შემდეგ.

გამარჯვებული სპორტსმენების გამოვლენა ხდება არსებული შეჯიბრების წესების მიხედვით. ხოლო გამარჯვებული გუნდების გამოვლენა – მონაწილეთა მიერ დაგროვილი ქულათა ჯამით. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ გუნდს, რომელმაც მეტი საპრიზო ადგილი დაიკავა. თბილისის ორივე გუნდს დაერიცხება ქულები. გუნდურ ჩათვლაში შევა მხოლოდ I გუნდის შედეგები.

ეროვნულ ჩემპიონატში გუნდებს ქულები დაერიცხებათ იმ სპორტსმენებზე, რომლებიც დაიკავებენ I-15 ადგილს და შეასრულებენ დიდების III თანრიგის ნორმატივის შედეგს შემდეგი განრიგით:

I ადგილი – 25 ქულა

II ადგილი - 18 ქულა

III ადგილი - 14 ქულა

IV ადგილი - 12 ქულა

და ა. შ. XV ადგილი - 1 ქულა.

ასევე გუნდებს დამატებითი ქულები დაერიცხებათ იმ სპორტსმენებზე, რომლებიც შეასრულებენ ნორმატივებს: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი - 20 ქულა, სპორტის ოსტატი - 10 ქულა, სპორტის ოსტატობის კანდიდატობა - 5 ქულა.

ქალაქებისა და რაიონების სპორტის სამსახურები ვალდებული არიან, რომ განაცხადები მონაწილეთა შესახებ სახეების ჩვენებით გადმოაგზავნონ მძლეოსნობის ფედერაციის ი-მეილზე : geoathletics@yahoo.com / info@geoathletics.ge

ან მოგვაწოდონ ხელზე. 10 კალენდარული დღით ადრე შეჯიბრის დაწყებამდე

ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების პროგრამა, ზამთრის ეროვნული ჩემპიონატზე

დახურულ დარბაზში (ზამთარში) : ეროვნული ჩემპიონატი 04-05/02 2017 წ. - ჩამოსვლის დღე 03/02.

მამაკაცები: 60-200-400-800-1500-3000-5000-60მ/თ-სიგრძეზე ხტომა, სამხტომი, სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა(7,260) და ამანათი 4X200მ, ჭოკი, შუბი, ბადრო, ურო

ქალები: 60-200-400-800-1500-3000-5000-60მ/თ-სიგრძეზე ხტომა, სამხტომი, სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა (4კგ), ამანათი 4X200მ; ჭოკი, შუბი, ბადრო, ურო

შენიშვნა 60მ. და 200მ. ჩატარდება 2 წრედ.

ზაფხულში ღია სტადიონზე: 27-28/05 2017 წელი ეროვნული ჩემპიონატი - ჩამოსვლის დღე 26/05.

შეჯიბრების პროგრამა:

მამაკაცები: 100-200-400-800-1500-3000-5000-110მ/თ-400მ/თ-3000მ/წ.-სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა, ჭოკით ხტომა, სამხტომი, ბირთვის კვრა (7,260.), ბადროს ტყორცნა(2კგ), უროს ტყორცნა (7,260), შუბის ტყორცნა(800გრ.), ამანათ რბენები 4X100მ. 4X400მ.

ქალები: 100-200-400-800-1500-3000-5000-100მ/თ-400მ/თ-3000მ/წ.-სიგრძეზე ხტომა, სიმაღლეზე ხტომა, ჭოკით ხტომა, სამხტომი, ბირთვის კვრა (4კგ.), ბადროს ტყორცნა(1კგ), უროს ტყორცნა (4კგ), შუბის ტყორცნა(600გრ.), ამანათ რბენები 4X100მ. 4X400მ.

შენიშვნა: 100მ. და 200მ. რბენები ჩატარდება ორ წრედ.

მონაწილეებს უფლება აქვთ გუნდისთვის გამოვიდნენ ორ სახეში და ერთ ამანათ რბენაში, ან პირიქით, ორ ამანათ რბენაში და ერთ სახეში. გუნდებს უფლება აქვს ერთ სახეში გამოიყვანონ არაუმეტეს ორი მონაწილისა.

გამარჯვებული გუნდები ქვეჯგუფების მიხედვით დაჯილდოვდებიან თასებით და დიპლომებით, ხოლო სპორტსმენები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და სიგელებით.

I ჯგუფში ზაფხულის ეროვნულ ჩემპიონატზე ბოლო ადგილზე გასული გუნდი გადადის II ჯგუფში, ხოლო II ჯგუფში გამარჯვებული გუნდი გადადის I ჯგუფში.

ქ. ახალციხის ღია ჩემპიონატის 22-23/04 – 2017 წ. და გეზრბენების 8-9/04– 2017წ და 1-2/10-2017წ. დისტანცია, ასაკები, სახეები და ა.შ. გეცნობებათ სამცხე-ჯავახეთის მძლეოსნობის ფედერაციის დებულების მიღების შემდეგ.

აფხაზეთის ღია ჩემპიონატის 02/04 – 2017წ. სახეები გეცნობებათ აფხაზეთის მძლეოსნობის ფედერაციის დებულების მიღების შემდეგ.

საქართველოს პირველობა ტყორცნებში ქ.თბილისი ან ახალციხე 22-24/09,2017 წ. - შეჯიბრი ტარდება ტყორცნების ყველა სახეში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში პირადი სახით.

ჭაბუკთა შორის (2000-2001-2002 წ.წ) ზამთრის ჩემპიონატები 18-19/02 , ჩამოსვლის დღე - 17/02.

საქართველოს ჩემპიონატი 13-14/05, ჩამოსვლის დღე 12/05. და– ასევე მსოფლიო მძლეოსნობის დღე ჭაბუკებს შორის 6-7/05 2017 წელი.

შეჯიბრებები ჩატარდება ქალაქებსა და რაიონებს შორის პირადის სახით, გარდა მსოფლიო მძლეოსნობის დღისა თანახმად „ იაფის“ მიერ გამოგზავნილი დებულების წესებისა და დაშვებული ასაკის მიხედვით.

I ჯგუფში: თბილისი I. თბილისი II, ქუთაისი აჭარა, ფოთი, ოზურგეთი, ზუგდიდი, ახალციხე, ვანი.

II ჯგუფი: ახმეტა, აბაშა, მარტვილი, ჭიათურა, ხარაგაული, ქარელი, ჩოხატაული, თიანეთი, ასპინძა, ხონი, გორი, ჩხოროწყუ, წყალტუბო, საჩხერე, სენაკი, მესტია, ხობი, წალენჯიხა, გარდაბანი, რუსთავი, თ/წყარი, წალკა, მცხეთა, ხონი, სიღნაღი, ხაშური, დუშეთი, ბორჯომი, ქ.ზუგდიდის მძლეოსნობის კლუბი.

გუნდების შემადგენლობა განისაზღვრება:

I ჯგუფში: 8 სპორტსმენი და 1 მწვრთნელ-წარმომადგენელი - სულ 9 კაცი

II ჯგუფში: 6 სპორტსმენი და 1 მწვრთნელ-წარმომადგენელი – სულ 7 კაცი.

შეჯიბრება ჩატარდება შემდეგ სახეებში:

2000-2001-2002 წ.წ დაბადებულ ჭაბუკთა შორის:

ზამთარში:

ბიჭები: 60-60მ/თ(91,4-9,14-13,72) ,200-400-800-1500-3000-სიგრძეზე ხტომა, სამხტომი, სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა (5კგ),ამანათი 4X200,ჭოკით ხტომა, ბადროს ტყორცნა (1,5კგ), შუბი (700გრ) უროს ტყორცნა (5კგ)

გოგონები: 60-60მ/თ (0,762-8,50-13,00)-200-400-800-1500-3000-სიგრძეზე ხტომა,სამხტომი, სიმაღლეზე ხტომა, ბირთვის კვრა(3კგ),ამანათი 4X200, ჭოკით ხტომა, უროს ტყორცნა (3კგ) ბადროს ტყორცნა (1კგ) შუბის ტყორცნა (500გრ)

ზაფხულში 2000-2001-2002 წ.წ 13-14/05-ში, ჩამოსვლის დღე 12/05 -ში.

ბიჭები: 100-110მ/თ (91,4-9,14-13,72)-200-400-800-1500-3000-400მ/თ(0,838)2000მ/წ. სიგრძეზე ხტომა, სამხტომი,სიმაღლეზე ხტომა, ჭოკით ხტომა(პირადი), ბირთვის კვრა (5კგ), ბადროს ტყორცნა (1,5კგ) შუბის ტყორცნა (700გრ), უროს ტყორცნა (5კგ).4X100მ. 4X400მ.

გოგონები: 100-200-400-800-1500-3000-100მ/თ(0.762-8.50-13.00), 400მ/თ (0,762), 200მ/წ. სიგრძეზე ხტომა, სამხტომი, სიმაღლეზე ხტომა, ჭოკით ხტომა(პირადი)ბირთვის კვრა(3კგ) ბადროს ტყორცნა (1კგ) შუბის ტყორცნა(500გრ) უროს ტყორცნა (3კგ)4X100მ. 4X400მ.

IV შეჯიბრებების ჩატარების ორგანიზება და უზრუნველყოფა

შეჯიბრებების ჩატარების ორგანიზაციას უზრუნველყოფს მძლეოსნობის ფედერაცია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად. მსაჯთა ხელფასს და შეჯიბრების მომსახურების ხარჯებს გაიღებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. ხოლო 2000-2001-2002 წ.წ დაბადებულთათვის საქ. ოლიმპიურ კომიტეტი. ხოლო გზის, კვების და სასტუმროს ხარჯებს გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაციები.

სამანდატო კომისია ჩატარდება დილის 10:00 საათიდან 17 საათამდე დიდუბის ზამთრის მანეჟში მისამართზე: წერეთლის გამზ. 95ა-ში. გუნდების წარმომადგენლებმა თან უნდა იქონიონ სამანდატო კომისიაზე ტექნიკური და სახელობითი განაცხადი ორ-ორი ეგზემპლიარად ექიმის და ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული და მონაწილეთა პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

ეროვნულ (ზამთრის და ზაფხულის) და შეჯიბრებაზე „მსოფლიო მძლეოსნობის დღე“ გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან თასებით და დიპლომებით, ასევე ყველა შეჯიბრებაზე გამარჯვებული სპორტსმენები შესაბამისი ხარისხის სიგელებით და მედლებით.

შენიშვნა: 1) მიმავლინებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან საქართველოს ჩემპიონატებისა, პირადი პირველობებისა და გეზრბენში (კროსში) მონაწილე სპორტსმენები უზრუნველყონ საშეჯიბრო სპორტული ფორმით.

2) მსაჯებს ეძლევათ უფლება მოხსნან სპორტსმენი შეჯიბრებიდან ტექნიკური მოუმზადებლობის გამოც.

მსოფლიო მძლეოსნობის დღის პროგრამა და ასაკი (დამატებით) გეცნობებათ მსოფლიო მძლეოსნობის ფედერაციის (IAAF) ის ინფორმაციის მიღების შემდგომ.

ზამთრის შეჯიბრებების დროს გრძელი ტყორცნები არ შევა გუნდურ ჩათვლაში. ჭოკით ხტომა ყველა შეჯიბრებებზე ჩატარდება მხოლოდ პირადული.

საქართველოს იმპროსნობის ეროვნული ფედერაცია

ქ. თბილისი
2017 წელი

ელექტრონული ფოსტა : info@geoathletics.ge / geoathletics@yahoo.com
ელექტრონული ბვერდი : www.geoathletics.ge
მისამართი: წერეთლის გამზ. 95ა. 0119
ტელ : 235-61-76

მომზადდა: ბ. ასათიანი 